ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 24

სხდომის ჩატარების დრო:

25 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეოთხე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, ა.კოპალეიშვილი, მ.გიორგაძე, კ.გურული, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 35 წევრიდან - 24 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

სულ: 11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონი: ი.უგულავა და ქალბატონი თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ა.ჩიხლაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი ე.გოგოლაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი რ.ჩინჩალაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი

მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქე დ.აბულაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, გააკეთა **განცხადება:** „მივესალმები დამსწრე საზოგადოებას. მადლობა მინდა ვუთხრა მოქალაქეებს იმისათვის, რომ როგორც კომისიურ ფორმატში, ასევე საკრებულოს სხდომებზე დასწრების მიმართ ინტერესი გაიზარდა. მე ვფიქრობ, ეს არის კარგი მაგალითი და პრეცენდენტი. ამ პროცესს თუ კიდევ უფრო შევუწყობთ ხელს, ძალიან კარგი იქნება. საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილია 6 საკითხი. მათ შორის, ანგარიშები, რომელსაც წარმოადგენენ, როგორც მერიის სამსახურები, ასევე საკრებულოს კომისიები.

ვიდრე დღის წესრიგის განხილვაზე გადავალთ, მინდა გავაკეთო განცხადება. მოგეხსენებათ, რომ ხვალ არის მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ეხება პარტიის რაიონულ ორგანიზაციის კონფერენციას. უმრავლესობის თითოეული წევრი წარმოვადგენთ მმართველ პარტიას და ვფიქრობ, ხვალინდელი დღე არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, ვინაიდან პარტიული სტრუქტურების ადგილობრივ დონეზე გაძლიერება არის მნიშვნელოვანი. ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყნის პოლიტიკაზე, რომელიც ეხება ქვეყნის დეცენტრალიზაციას. ამავდროულად მნიშვნელოვანია პარტიული პოლიტიკის გაძლიერება რეგიონალურ დონეზე. ამ პერიოდში, პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა ბატონი, გია ბასილაძე. ზოგადად, მისი დამოკიდებულება პარტიული პოლიტიკის შინაარსიდან გამომდინარე არის საკმაოდ მნიშვნელოვანი. ასევე მისი, როგორც პიროვნული თვისებები და მოქალაქეებთან ურთიერთობის უნარები. მე მინდა, მივულოცო ბატონ გიას პარტიის თავმჯდომარის კანდიდატობა და წარმატება ვუსურვო ხვალინდელ კონფერენციაზე. მისი ეს გადაწყვეტილება, როგორც პარტიის თავმჯდომარის კანდიდატისა, მიღებულ იქნა შესაბამისი უწყებების მიერ. მინდა, წარმატება ვუსურვო ბატონ გიას. კიდევ ერთხელ

დავკონკრეტდები და ვიტყვი, რომ მისი საქმიანობა დაკავშირებულია ძალიან დიდ ძალისხმევასთან, მათ შორის, ადამიანურ ურთიერთობებთან. მე, როდესაც ანგარიშს ვამზადებდი, თითოეული დეპუტატის მოქალაქეებთან მიღების სტატისტიკა ამოვიღე და ვფიქრობ, რომ ბატონი გია არის ლიდერი ამ მიმართულებით. მინდა, წარმატებები გისურვოთ ბატონო გია, როგორც პარტიულ, ისე წარმომადგენლობით ორგანოში.

აქვე მინდა გითხრათ ერთი რამ, ვიდრე საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ. ეს 2021-2024 წლების პროექტებს ეხება და მის პრიორიტეტებს. ზოგადად, ჩვენ მოგვიწევს ბიუჯეტზე მსჯელობა, რომელიც რიგგარეშე სხდომაზე იქნება განხილული. ეს ცვლილებები დაკავშირებულია მნიშვნელოვან ნაწილზე. მათ შორის იმ პრიორიტეტებზე, რომელიც განსაზღვრულია დოკუმენტში. ამ პრიორიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ინფრასტრუქტურას. ეს იქნება საგზაო, საბინაო თუ სხვადასხვა მიმართულება. სწორედ საკრებულოს მაჟორიტარი წევრების მეშვეობით ჩამოყალიბდა მოსაწონებელი პროექტების ახალი ნუსხა. ფაქტობრივად, წარმოდგენილი იქნა 64 ინფრასტრუქტურული პროექტი და ეს საკრებულოს წევრების უშუალო კომუნიკაციით მოხდა აღმასრულებელ რგოლთან. თანამშრომლობისთვის მადლობა მინდა გადავუხადო შესაბამის სამსახურებს, ინფრასტრუქტურის სამსახურს, ასევე კურატორ ვიცე მერს.

აქვე მინდა გითხრათ, მნიშვნელოვან საკითხზე. როდესაც საკრებულოს წევრებს, მათ შორის, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წევრებს, რიგ შემთხვევებში გვაქვს ინიციატივები, რომელიც უფრო მასშტაბურ ინფრასტრუქტურას ეხება. მე მივესალმები ასეთ აქტივობას საკრებულოს წევრის მიერ გამოჩენილს. ერთ - ერთი გახლდათ ქალბატონი ელეონორას ინიციატივა, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებულ ტერიტორიას. კერძოდ, ქუთაისი - კოპიტნარის აეროპორტის დამაკავშირებელ გზას. ამ საკითხზე მსჯელობა გვქონდა, კონკრეტულად 2021 წლის აპრილის თვეში, მაშინ როდესაც „UNIDEP“-ის პროექტის ფარგლებში ტურიზმის ცენტრმა „DMO“ იმერეთმა წარმოადგინა თავისი ხედვა, რომელიც უშუალოდ ამ ნაწილს ეხებოდა. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო წყალტუბოს მუნიციპალიტეტს უშუალოდ ჩართულობისათვის. ეს მხოლოდ ქუთაისის პრიორიტეტულ მიმართულებად არ ითვლება. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ 2024 წელს

მიმდინარეობს ამ გზის მონაკვეთის პროექტირება. შესაბამისად, დასრულებულია პროექტირების ნაწილი. აქვე უნდა აღინიშნოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჩართულობა კერძო სექტორთან. იქ ადამიანები ბიზნეს საქმიანობას აწარმოებენ. არცერთი მათგანი არ დაზარალებულა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა იზრუნა მოქალაქეებთან და ბიზნეს სუბიექტებთან კომუნიკაციისათვის. ამ საკითხის ირგვლივ, ქალბატონო ელეონორა, 2021 წლიდან დავიწყეთ მუშაობა. ეს რაც შეეხება ინფრასტრუქტურის ნაწილს. შესაბამისად, უკვე გვაქვს შედეგი, რომ პროექტირება დასრულებულია, კომუნიკაციის ნაწილი ბიზნეს სუბიექტებთან დასრულებულია. აუცილებლად მოხდება აი, ამ გზის რეაბილიტაცია. 2021-2024 წლის პროექტების რამდენიმე მათგანზე უკვე მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმება. ეს არის პეტრიწის ქუჩის რეაბილიტაცია, რომელიც 1 მლნ. 800 ათასი ლარი ჯდება. ეს ერთ - ერთი ცენტრალური უბანია ქუთაისში. ვფიქრობ, ის ინფრასტრუქტურა, რაც ამ ქუჩაზე გვქონდა, ნამდვილად არ ეკადრებოდა ქუთაისს. ამ პროექტში არის გათვალისწინებული საფეხმავლო ბილიკების მოწესრიგებისა და სანიაღვრე ქსელის მოწესრიგების ნაწილი, რომელიც რეალურად ნამდვილად პრობლემას წარმოადგენდა წლების განმავლობაში.

აქვე, რომ არ დამავიწყდეს ბატონო იუზა, ჩვენ ამ თემაზე გვქონდა მსჯელობა და კიდევ ერთხელ მინდა გავაჟღერო. წინა სხდომაზე ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და სკოლის მოსწავლეებს სრულად გავუუქმეთ ტრანსპორტით სარგებლობის საფასური. არის პასუხისმგებლობა, რომელიც სასკოლო ბარათების ნაწილში არსებობს. საკრებულოს გადაწყვეტილება ვფიქრობ, არის იმპერატიული, ნათლად აყალიბებს ამ ნორმას და წესს, ვინ სარგებლობს შესაბამისი შეღავათით თუ უფასო მგზავრობით. მე არ ვიცი, რა დონის კომუნიკაცია შედგა ბანკთან. ტრანსპორტის სამსახურს მინდა მივმართო, მკაფიოდ ვუთხრა, გნებავთ თხოვნად ჩავთვალეთ, რომ შესაბამისი თანამშრომლები, მძღოლები, კონტროლიორები მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულები, რომ სკოლის მოსწავლეს, რომელსაც გაუუქმდა მგზავრობის საფასური და ეს არის საკრებულოს გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, რომ მასზე მაღალი დოკუმენტი რეალურად არ არსებობს და არც ხელშეკრულება, რომელიც ბანკთან გაფორმებული აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას. ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა არ უნდა წარმოიშვას და

რეალურად, სკოლის მოსწავლეებმა დადგენილების მიღების დღიდან უნდა ისარგებლონ აი, ამ შეღავათით, ანუ, უფასო მგზავრობით. მაშინ, როდესაც არსებობს საკრებულოს გადაწყვეტილება, დამატებითი წესების შემოღება გაცდენილია სამართლებრივ ნაწილს. ჩემი თხოვნა იქნება, მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინოთ „თბსი“ ბანკთან დაკავშირებით, რომელთანაც, როგორც ვიცი, აღმასრულებელი ორგანოს მიერ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. საკრებულოს დადგენილების უგულებელყოფა არავის გამოუვა. მე ამას იმიტომ ვსაუბრობ, რომ არის შემთხვევები, რომ სკოლის მოსწავლე იხდის საფასურს და შესაბამისად ეს აისახება მათ ანგარიშებზე. ეს მინდოდა მეთქვა ამასთან დაკავშირებით.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2023 წლის 25 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(მერის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საკრებულოს დღის წესრიგის პროექტს პირველ ნომრად დაემატა საკითხი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ანტონ ჩიხლაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ბექა ქებულაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა
კომისიის თავმჯდომარე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ამირან კოპალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის
კომისიის თავმჯდომარე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ელეონორა გოგოლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა
და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის - კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი რუსუდან ჩინჩალაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა
დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 24-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის -**„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ანტონ ჩიხლაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ განმარტებით ბარათში აღნიშნავთ, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტის მიღება გამოიწვევს ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, 5 პროცენტის ოდენობით. რას გულისხმობთ ამაში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ანტონ ჩიხლაძე:** „სახელმწიფო გვიფინანსებს ამ პროექტების 95 %-ს, დანარჩენი 5%-ს გადახდა გვიწევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რომელ პროექტებს ეხება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ანტონ ჩიხლაძე:** „ეს ეხება ნუსხაში წარმოდგენილ პროექტებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ვფიქრობ, ალბათ, ჩვენ მედიასთან გექნება კომუნიკაცია. ეს ინფორმაცია მოქალაქეებისა და მოსახლეობისათვის ნათელი რომ იყოს. საუბარია, 64 პროექტზე. აქედან გამომდინარე, ფინანსური რესურსი, რომლის მობილიზებასაც ვგეგმავთ, არის დაახლოებით 21 მილიონ ნახევარი ლარი. ამ პროექტებში შესულია საბინაო ინფრასტრუქტურა, გზის მშენებლობა, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა და ასე შემდეგ. ამიტომ, ვთხოვ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას, ეს ნაწილი ცალკე გამოაქვეყნოს საკრებულოს შესაბამის „ფეისბუქ" გვერდზე და ოფიციალურ ვებ გვერდზე, რომ მოქალაქეებს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რომელი პროექტები ფინანსდება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: საკრებულოს 19 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 4-მა წევრმა, ბატონებმა: გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, ქალბატონმა ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის, **ანტონ ჩიხლაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის №347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №236** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მეორე საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის **ანგარიში** 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბექა ქებულაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“): „მოზარდებში არის გარკვეული ტიპის დაავადებები, რომლებიც ხერხემლისა და ძვალ-სახსრების დაავადებებს განეკუთვნება. ხშირად ექიმები ამ ბავშვებს განკურნების მიზნით უნიშნავენ ცურვას. ბევრ მშობელს არ

აქვს ფინანსური საშუალება ახალ საცურაო აუზში ატარონ ბავშვები. ჩვენი ინიციატივისა და წერილის საფუძველზე ხომ არ განიხილავთ საკითხს, რომ ამ პრობლემის მქონე ბავშვებს გავუწიოთ ფინანსური დახმარება, ან აბონომენტი შევუძინოთ, ან რამე შეღავათი დავუწესოთ, თუკი სამედიცინო დაწესებულება დაუწერს შესაბამის დანიშნულებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი, **ბექა ქებულაძე:** „ჩვენი მოწვევის საკრებულოს წევრების მთავარი დევიზია, მოქალაქეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. მათივე ჩართულობით ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება. ვფიქრობ, ამ საკითხზე არგუმენტირებულად ვიმსჯელებთ. განვიხილავთ საცურაო აუზთან დაკავშირებით რა შეგვიძლია შეღავათების გაწევის თვალსაზრისით. ვარჯიშებთან დაკავშირებით, რომელსაც საჭიროებენ ეს ადამიანები, რა შეღავათებს გავუწევთ ჩვენი თანამშრომლობით და შეთანხმების საფუძველზე. დარწმუნებული ვარ, თანამშრომლობით კონკრეტულ შედეგებზე გავალთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მნიშვნელოვანი საკითხია ბატონო კობა. კომისიას დარგობრივად შეიძლება რაღაც შეხების წერტილი ჰქონდეს ამ თემასთან. 6 თვეა, რაც პასუხისმგებლობა აიღო სახელმწიფომ ამ მიმართულებით. რაც შეეხება რეაბილიტაციის ნაწილს, თუ საჭიროებაა იგივე ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადსხვა დარღვევების მქონე პაციენტებში, მათ შორის ბავშვებშიც, ამავდროულად, ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის ნაწილში, კონკრეტულ ჯგუფებს, ეს არ გულისხმობს ბავშვებს, ეს ზრდასრულ ადამიანებსაც გულისხმობს, რომელსაც კონკრეტული დაზიანება აქვს, ან კონკრეტული ნევროლოგიური დეფიციტი აქვს, ასეთი პაციენტების დაფინანსება შესაბამის ცენტრებში სახელმწიფო პროგრამით ხორციელდება. ასეთი საჭიროება თუ ბენეფიციარს გააჩნია, სახელმწიფო უზრუნველყოფს. ეს კონკრეტული პროგრამა მოიაზრებს შესაბამის წყლის თერაპიასაც. კარგი იქნება, თუ აქედან გამომდინარე ვიზრუნებთ, რაღაც ფორმით ახლოს ვიყოთ იგივე სახელმწიფო პროგრამასთან. თუმცა, თუ ცურვაზე გვაქვს საუბარი, როგორც სპორტულ აქტივობაზე, აქ უკვე სპორტის შესაბამისი ა(ა)იპ-ის პასუხისმგებლობაა. თუ აქ ცალკეულ საკითხს განვიხილავთ, ესეც შესაძლებელია. თუ საკითხი ეხება სპორტულ

დაწესებულებებში საფასურის ნაწილს, აქ არსებობს საკრებულოს გადაწყვეტილება, დადგენილება, რომელიც საფასურის ნაწილს ეხება. შესაბამისი აუზი არ განიხილება როგორც სპორტული სკოლის ნაწილი და ვფიქრობ, ამაში გვექნება ჩვენ დამატებითი მსჯელობა, რა შეიძლება გაკეთდეს ან რა ფორმით შეიძლება ოპერირებდეს შემდგომში ოლიმპიური აუზი. თუ განვიხილავთ კომერციულ დატვირთვას. აქ უნდა მოხდეს შეთანხმება რაღაც ფორმით მუნიციპალიტეტთან და დაასუბსიდიროს მუნიციპალიტეტი იმ საკითხზე, რაზეც თქვენ საუბრობთ. თუ სპორტულ აღზრდაზე და დაწესებულებებზე გვაქვს საუბარი, აქ შესაბამისი გადაწყვეტილება არის მიღებული. გითხარით უკვე ამის თაობაზე. თუ რეაბილიტაციას და სამედიცინო ჩვენებას ეხება, სახელმწიფოს ეს პასუხისმგებლობა აქვს აღებული და შესაბამისად ხდება დაფინანსება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი"): „მე მარტივად მინდა წარმოვადგინო საკითხი. თუ მოზარდს აქვს ხერხემლის გამრუდება, თუ წარმოადგენს შესაბამის სამედიცინო დოკუმენტს, თუ მას დაუნიშნეს ცურვის თერაპია, თუ ოჯახს არ აქვს აბონომენტის შეძენის ფინანსური შესაძლებლობა, ამ კონკრეტიკაში განვიხილოთ, რომ მარტივი იყოს მოქალაქისათვის რა გზას დაადგეს და როგორ გადალახოს ესა თუ ის პრობლემა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ალბათ, სფეროს წარმომადგენლებს უნდა ვკითხოთ. მე მახსოვს და ბატონი თემური დამეთანხმება, მოქმედებდა სამედიცინო პროგრამა, რომელიც რეალურად ეხებოდა მხედველობის ნაწილს და სკოლამდელი ბავშვების სამედიცინო შემოწმებას გულისხმობდა. მე ვფიქრობ, რომ ამ ნაწილშიც შეგვიძლია განვიხილოთ ეს პროგრამა, რომელიც სამწუხაროდ, გაუქმდა. სტატისტიკა რომ გვქონდეს, რამდენ ბენეფიციარზეა საუბარი, შემდეგ შესაძლებელია მსჯელობა, მათ შორის ბიუჯეტის ნაწილშიც."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 - მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 4-მა წევრმა: გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, ქალბატონმა ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება №237** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის **ანგარიში** 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

აქვე მან აღნიშნა: „ანგარიშის ბოლოს, მინდა მადლობა ვუთხრა თანამშრომლობისათვის აღმასრულებელ ხელისუფლებას, სამსახურების უფროსებს, კომისიის ყველა წევრს, დარგის კურატორს, მერის მოადგილეს, ბატონ იუზა უგულავას, ასევე ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებს, რადგან არცერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ კვორუმის არარსებობის გამო, კომისიას სხდომა ვერ გაემართა. აქვე მინდა განვაცხადო, რომ პარასკევს, როგორც „უქიმერიონის“ ოლქის მაჟორიტარი მოსახლეობას ჩავაბარებ ანგარიშს, ქალაქის ბოტანიკურ ბაღში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დიდი მადლობა ბატონო ამირან. საკმაოდ მნიშვნელოვანი დარგობრივი კომისიაა, რომელსაც მთელი რიგი მიმართულებები გააჩნია თავისი პასუხისმგებლობის ნაწილში. ვფიქრობ, თქვენს კომისიაში, საკრებულოს წევრების თანამშრომლობა არის აქტიური.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია,

გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 3-მა წევრმა: გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ქალბატონმა ნ.ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება № 238** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის **ანგარიში** 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

მან აქვე აღნიშნა: „ქალაქში არის ჯერ კიდევ ქუჩების სახელები, რომელიც არ შეესაბამება ჩვენი ცხოვრების თანამედროვე წესს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის. ჩვენთან რამდენიმე წერილი შემოვიდა. ქალაქში, სადაც ვცხოვრობთ, არ არის ანა კალანდაძის ქუჩა. ეს იყო „სიურპრიზი“ ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის. ეს უნდა გამოვასწოროთ. აღნიშნულის შესახებ მოგვმართა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ. მოგეხსენებათ, ანა კალანდაძე სწავლობდა ქუთაისში.

მისი ოჯახი გარკვეული წლები ცხოვრობდა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მოსაზღვრედ. ვფიქრობ, რომ ყველა უნდა ვიყოთ ამ იდეის მხარდამჭერი. კონკრეტულად, ჩვენი კომისია ამ იდეას დაუჭერს მხარს. თანამედროვე, ცივილიზებულ ქვეყანაში, ქალაქებში, არსად არ არის ამდენი შესახვევი, რამდენიც ქუთაისში. ჩვენს ქალაქში რატომღაც ეს დარჩენილია და ჩვენ გვაქვს იმის რესურსი, რომ ამ შესახვევებს სახელები მივანიჭოთ და ადამიანი სადღაც 56-ე შესახვევში არ ცხოვრობდეს.

აქვე აღვნიშნავ, 27 ოქტომბერს არის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე. ქალაქში არ გვაქვს იაკობ გოგებაშვილის ძეგლი და გვაქვს ისეთი ძეგლები, რომლის მნიშვნელობა 100 - დან 99-მა ქუთაისელმა არ იცის. მაგალითად კიკვიძის ძეგლი, რომელიც უკვე საკმაოდ ყბადაღებული თემაა.

ასევე, ქალბატონი მაია სიმონიძე ითხოვს და ჩვენც დავაყენებთ ამ საკითხს, რომ საბავშვო ბაღების მუშაობა დაიწყოს ცოტა ადრე, როგორც ეს ხდება სხვა მრავალ ქვეყანაში. ამას შეიძლება მოყვეს დამატებითი რესურსის მოძიება, მაგრამ ეს იქნება ქალებისადმი სოლიდარობა და გენდერული თანაგრძნობა. არიან მარტოხელა დედები, რომლებსაც სამუშაო საათები ეწყებათ 09:00 საათზე და ამ დროს უნდა დააფიქსირონ თავიანთი მისვლა. როგორმე მოვახერხოთ ისე, რომ 15-20 წუთით ადრე გაიღოს საბავშვო ბაღის კარი. დედა, რომელსაც არ ჰყავს დამხმარე, დატოვოს ბავშვი და შემდეგ შეძლოს საკუთარი საქმიანობის გაგრძელება. ჩვენ ამ თემაზე ჩვენს კომისიაზეც ვისაუბრეთ, გენდერულ საბჭოზეც ვისაუბრეთ. კარგი იქნება, თუ ამის რესურსს როგორმე გამოვძებნით. მადლობელი ვიქნები, თუ 27 ოქტომბერს მობრძანდებით საჯარო ბიბლიოთეკაში, ჩემი ანგარიშის წარდგენაზე. ბატონი ირაკლი რამდენჯერმე გამოვიდა ინიციატივით, რომ იურიდიულ საკითხთა კომისიას ეწოდოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. ეს არ იქნება ცუდი იდეა, მაგრამ არ ჭირდება კომისიას სახელის შეცვლა. ჩვენ ისედაც ვაკეთებთ ამ საქმეებს.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მადლობა ქალბატონო თეა. ჩვენ არაერთხელ გვქონია საუბარი საბჭოთა სიმბოლიკებზე. რეალურად, ეს არის ქალაქში პრობლემა. ალბათ, უფრო მეტი ეფექტური

მუშაობა მართებს შესაბამის კომისიას. აქ შეიძლება შეიქმნეს სამუშაო ჯგუფი. თუ კომისია ვერ უზრუნველყოფს ამ საკითხის აქტუალიზაციას, დამატებით შეიძლება ვიმსჯელოთ სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რომელიც ორიენტირებული იქნება ამ საკითხის სრულად აღმოფხვრაზე. ინიციატივები, რომლებიც მოქალაქეებიდან მოდის, ეხება ისეთ სენსიტიურ საკითხებს, როგორიცაა გამოჩენილი ქალი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭება ქუჩებისათვის, შენობა - ნაგებობებზე საინფორმაციო დაფების განთავსება და ა.შ. რაც შეეხება კიკვიძის ძეგლს, არ ვიცი ჩემზე მეტი მოწინააღმდეგე თუ ჰყავს ვინმე. ბოლო დაპირება რაც მივიღეთ, იყო ის, რომ რეაბილიტაციის პროცესში მოხდებოდა ძეგლის დემონტაჟი, მაშინ, როდესაც ჩვენ გვექნება შესაბამისი ფინანსები, რომელიც სკვერის რეაბილიტაციას ეხება. საზოგადოების დამოკიდებულება ძეგლების მიმართ არის სხვადასხვაგვარი. მადლობა თეა, ისეთი პრეცენდენტები შეიქმნა ამ კომისიაში, რაც შემდეგ ძალიან გამოგვადგა, იგივე რიგგარეშე ანგარიშების მოსმენის ნაწილში, ასევე რეკომენდაციების გაცემის პრეცენდენტები, ისეთი ტიპის რეკომენდაციები, რომლებიც აისახა სახელმწიფო დოკუმენტებში. მაგალითად აუდიტის სამსახურის დასკვნებში. კარგი იქნება, თვითმმართველობებს ჰქონდეს ეს შესაძლებლობა, რაც აქვს თბილისს. ეს ნაწილი ეხება აუდიტის სამსახურს, აუდიტის სამსახურის მიმართულებას. მე ვფიქრობ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება. „USAED-ის“ პროგრამის ნაწილში ინსტიტუციურად გაიზრდება საკრებულოს შესაძლებლობები, ამ ნაწილში კარგი იქნება ჩვენი კომისიიდან თუ წავა აუდიტის ნაწილზე ჩვენი მოსაზრება. მე ვგულისხმობ, აუდიტის სამსახურს საკრებულოს პასუხისმგებლობაში შემოყვანას, სამსახურის ხელმძღვანელის საკრებულოს პასუხისმგებლობით არჩევას. წარმოუდგენელია, ერთის მხრივ ახორციელებდე ზედამხედველობის ნაწილს და ამავდროულად არ გქონდეს ინსტრუმენტი, რომელიც უშუალოდ ამის განხორციელებაში დაგეხმარება. მე ვფიქრობ, კარგი იქნება თუ ეს კომისია ამ საკითხზეც იმსჯელებს. ჩვენ გვაქვს ინიცირებული პროექტი, მასში აქტიურად მონაწილეობდა შესაბამისი კომისიის სპეციალისტები. მაგალითად, მარიამ ამბროლაძე, რომელიც გულისხმობს პეტიციის ხელმომწერთა შემცირებას 1 %-დან 0.5 %-მდე. კიდევ

ერთხელ კარგად გავიაროთ ეს საკითხი. მე ვფიქრობ, საზოგადოებასთან გვაქვს მეტი სამუშაო, რომ ცნობიერება პეტიციის შესახებ გაიზარდოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)**:** „ქალბატონო თეა, თქვენ ახსენეთ საბავშვო ბაღების საკითხი. ამ თემაზე მე წინა საკრებულოზეც მქონდა საუბარი და ვღებულობდი ისეთ პასუხებს, რომელზეც არგუმენტირებულად ვერ ვახერხებდი საწინააღმდეგო პასუხის გაცემას. ძირითადად შრომის კოდექსიდან მოყავდათ არგუმენტები. ახლა თბილისმა დაიწყო ამ თემაზე მუშაობა. მეც მომიწია შრომის კოდექსში ჩაღრმავება. აქ საუბარია, არა საბავშვო ბაღების გადაყვანაზე დილის 08:30 დან 18:30-მდე, არამედ, მორიგე მასწავლებლის შტატის შემოღებაზე, ზედმეტი სამუშაო საათის ანაზღაურებით, თუნდაც 30 %-ით. მე მივმართავ ა(ა)იპ ბაგა - ბაღებს, მივმართავ მათ იურისტს, გენდერულ საბჭოს, იურიდიულ საკითხთა კომისიას, რომ ეს საკითხი უფრო დეტალურად განვიხილოთ და მივიღოთ პასუხი, შესაძლებელია თუ არა მოსაზრება განხორციელდეს. მე ქალების კოლექტივთან მაქვს ყოველდღიური შეხება და თქვენ რომ ნახოთ, როგორ გამორბიან დედები, რომ ბავშვები დატოვონ ბაღებში და შემდეგ სამსახურებში მოსვლა მოასწრონ. ჩვენ გავუკეთეთ მათ ნახევარსაათიანი შეღავათები. არის სამსახურები, სადაც კონვეირული სისტემაა, სადაც ადამიანები გამომუშავებაზე მუშაობენ. გამომუშავებაზე მყოფი ადამიანი, რომელიც 1 საათს აგვიანებს და ამ 1 საათში გამოიმუშავებს 30 ლარს, მას ეს თანხა აკლდება. ეს არ არის მოუგვარებელი საკითხი და ვიდრე თბილისი განახორციელებს, ჩვენ მოვაბათ თავი. ჩემთან თუ არის შესაძლებელი, რომ 9 საათამდე იმუშაოს დანამატით თანამშრომელმა, საბავშვო ბაღში რატომ არ შეიძლება მუშაობდეს? “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „პრობლემა მანდ არ არის. მოსახლეობის პრობლემაა, უნდათ თუ არა, მათ ეს გრაფიკი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „აქ საჭიროა ძიძა ბატონო იუზა. ერთი ძიძაც იქნება საკმარისი, რომელიც საბავშვო ბაღში

დროზე ადრე მიყვანილ პატარებს გაუწევს მეთვალყურეობას. 300 ბავშვიდან ასეთი შესაძლოა სულ 3 იყოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ თუ კვლევებზე საუბრობთ, გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს აქვს ასეთი კვლევა. აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რამდენიმე სხვა ორგანიზაციას და შემიძლია მოგაწოდოთ. ამ საჭიროებს მქონე ქალები ადასტურებენ და მოსახლეობის განწყობა ამ კვლევებით ცნობილია. სამიზნე ჯგუფად შეგვიძლია ავირჩიოთ მერიის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკრებულოს თანამშრომლები, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ და შეგვიძლია იქ დავინახოთ მარტივად ამის საჭიროება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: საკრებულოს 17 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 3-მა წევრმა: გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ქალბატონმა ნ.ბიბილეიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება №239** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის **ანგარიში** 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა – ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ელეონორა გოგოლაშვილმა.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა მხარდაჭერა გამოვუცხადო ამ სამსახურს პასუხისმგებლობების საკითხში. ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მათ შორის, ახალგაზრდული კონცეფციის მიმართულებით, კულტურის მიმართულებით, სპორტის მიმართულებით. ძალიან მოცულობითია ის დოკუმენტი, რომელშიც სპორტის კონცეფციაა ასახული. იმედია, ჩვენ გვექნება საშუალება, რომ ამ დოკუმენტს სრულად გავეცნოთ. სპორტის კონცეფციის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკრებულოს დარგობრივი კომისია და დეპუტატების ნაწილი. ამ დოკუმენტის შემუშავება საკმაოდ ინკლუზიური

იყო, არ დარჩენილა არცერთი სფერო, დარგის სპეციალისტები, რომლებიც ამ პროცესში პირდაპირ თუ ირიბად ჩართულნი არ იყვნენ. მათ შორის, ბიზნეს სექტორის ჩართულობაც ამ დოკუმენტის შემუშავების ნაწილში იყო მნიშვნელოვანი. მე მინდა, გამოვხატო ჩემი მხარდაჭერა თქვენი სამსახურის მიმართ. მინდა გისურვოთ სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მინდა გითხრათ მადლობა გაწეული მუშაობის გამო. იმ ნაწილში, რასაც ჰქვია კულტურა, სპორტი, განათლება, ახალგაზრდობის საქმეები. ეს ღონისძიებები არ კეთდება მხოლოდ სამუშაო დღეებში, არასამუშაო დღეებშიც ითხოვს შრომას, ჩართულობას. გიყვართ თქვენი საქმე. მე მთელ გუნდს მინდა გითხრათ მადლობა ამისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ახალგაზრდებს უნივერსიტეტიდან, რომლებიც პირველად ესწრებიან საკრებულოს სხდომას. ძალიან სასიამოვნოა, რომ მათ აქ ყოფნის პერიოდში, მოისმინეს ამ სამსახურის ანგარიში. პირველ რიგში უნდა გავაკეთო აქცენტირება ჯანსაღი ცხოვრების წესზე, რომ მეტი ახალგაზრდა ჩავაბათ სპორტში, ხელოვნებაში და მოვაცილოთ ისინი ქუჩას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის თაობაზე საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია,

გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია

ღია კენჭისყრით (მომხრე: საკრებულოს 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 3-მა წევრმა: გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ქალბატონმა ნ.ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება №240** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის **ანგარიში** 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **რუსუდან ჩინჩალაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თემურაზ ნადირაძე:** „მადლობა ქალბატონო რუსუდან საინტერესო მოხსენებისათვის. ხომ არ გგონიათ, რომ ქალაქში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვთ ობიექტებს, რომლებსაც მხოლოდ სიძველე აქვთ და არავითარი არქიტექტურული და ესთეტიკური ღირებულებები არ გააჩნიათ? ეს სტატუსი უშლის ხელს იმ უბნის განვითარებას და ესთეტიკურად წარმოჩენას, რადგან იქ ერთვება უამრავი ბარიერი. მე მგონია, ძეგლის სტატუსი უნდა იყოს არგუმენტირებულად მინიჭებული. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს საკითხი გადასახედია, ძეგლებს უნდა მოვეფეროთ და შევუნახოთ მომავალ თაობას, მაგრამ რამდენად არის ეს ძეგლი ღირებული და შეესაბამება სტატუსს, ეს გადასახედია. გადასახედია კრიტერიუმები, რომ მოხდეს ძეგლისათვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „ორ წელზე მეტია მიმდინარეობს ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მოლაპარაკება, რომ სავალდებულო და საჭიროა მოხდეს ობიექტების თავიდან ინვენტარიზაცია. ეს არის ძეგლების შესწავლა, მათი ტერიტორიების სწორად აზომვა, აგრეთვე, მათი ღირებულებების განსაზღვრა. ამ საკითხს გენერალური გეგმის კონცეფცია შეეხო. მათ მიერ, სულ ასამდე ობიექტი იქნა იდენტიფიცირებული. ისეთ ძეგლებზე იქნა ყურადღება გამახვილებული, რომელიც შეიძლება არ იყოს ჩამონათვალში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მაგალითად, მოვიყვან 29-ე საბავშვო ბაღს. ეს შენობა მიეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ეს მოთხოვნა პირველად ჩვენ დავაფიქსირეთ. ანუ, საკითხი ასე დგას. რეაბილიტაციის პროექტს ვინც გააკეთებს, არქიტექტორმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ის მოთხოვნა, რაც 2006 წელს იყო მიღებული. ამიტომ, გადახედვაზე წინააღმდეგნი არიან. ბოლოს, ქუთაისში სტატუსი მოეხსნა მუზეუმს. აი, ის შენობა, რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „თქვენს ანგარიშს რომ ვუსმენდი, ასე გავიგე, რომ თქვენი საქმისწარმოების პროცესში ბევრი კანონი მონაწილეობს. თქვენ, ანგარიშის წარმოდგენისას აღნიშნეთ, რომ არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა კანონი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღებისას ერთი კანონი გზღუდავთ და მეორე ნებას გრთავთ. ეს ბევრი კანონის მონაწილეობა იწვევს უკმაყოფილებას. თუ გქონიათ შემთხვევები, როდესაც ორი კანონი მოსულა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, თქვენ 100 შემთხვევიდან რომლით გისარგებლიათ? მაგალითად, 100 შემთხვევიდან რამდენჯერ ისარგებლეთ იმ კანონით, რომელიც საკითხს დადებითად გადაწყვეტდა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „ამ ანგარიშის წარდგენისას არ შეიძლებოდა ამ საკითხს ხაზი არ გასმოდა. საქმე არის იმაში, რომ ჩვენ მიერ, 100-დან 100-ვე პროცენტში ხდება კანონის მკაცრი დაცვა. ამას კანონი არეგულირებს. თუ საკითხს ორი ნორმა განსაზღვრავს, ვხელმძღვანელობთ უფრო მკაცრი ჩანაწერით. როცა დეველოპერის მიერ ხდება დაპროექტება, ის, რა თქმა უნდა, არ ირჩევს მკაცრ ჩანაწერს. ის იყენებს ჩანაწერს, რომელიც მისი მიზნებისათვის ხელსაყრელი და მისაღებია. ეს პოზიცია არცერთ მხარეზე არ ახდენს დადებით ზეგავლენას, არც სამსახურის, არც გარეთ მყოფი ადამიანის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „საამშენებლო ნებართვების შესახებ კოდექსში“ ორი მუხლი არსებობს, რომელიც იმპერატიულად ეუბნება სამსახურს, რომ უფრო მკაცრი ფორმით იხელმძღვანელოს. შემოვიდა მთავრობის ახალი დადგენილება, რომელიც 17 ოქტომბერს იქნა მიღებული, რომელიც კიდევ ერთი ფაქტორი შეიძლება გახდეს კოლიზიის ან კოლიზიის წარმოქმნის პირობის. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ეს საკითხი შემოვა საკრებულოზე. საკრებულოს ნებართვა დაჭირდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ამ ნაწილში ჩემი პოზიცია მქონდა. მაქვს ჩემი სუბიექტური მოსაზრებები სამშენებლო კოდექსთან დაკავშირებით. ძალიან რთული კანონი იყო თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით. რაზეც ქალბატონი რუსუდანი საუბრობს, ჩავუღრმავდით და დადგენილებებზეც ავედით. ამ კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი ეფექტური მექანიზმი აქვს მას, მათ შორის მშენებლებისათვის, დეველოპერებისათვის. ის რაც დაზუსტდა ახალი 403-ე დადგენილებით, თავისი შინაარსით ხელს უწყობს დეველოპერს, მათ შორის არქიტექტურულ ნაწილს და ამ ჯგუფს, რამდენიმე მექანიზმით იხელმძღვანელოს. მე ვფიქრობ, კოლიზია სხვა სეგმენტში უფრო არის, მაშინ, როდესაც ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ ადმინისტრაციულ წარმოებაზე და ვიხელმძღვანელოთ ერთის მხრივ სამშენებლო ნებართვების შესახებ კოდექსით და მეორე შემთხვევაში, შეიძლება გამოვიყენოთ ადმინისტრაციული წარმოების უფრო მკაცრი ნორმა, თუმცა სამშენებლო კოდექსმა ნათლად ჩამოაყალიბა, რა შემთხვევაში რა ნორმით უნდა იხელმძღვანელოთ. იქ ჰუმანური ნაწილი, მათ შორის ვადებთან დაკავშირებით აბსოლუტურად დეტალურად არის გაწერილი. სამწუხაროდ, გიწევთ ისეთი ნორმების გამოყენება, რომელიც ადმინისტრაციულ სამართლებრივ ნაწილს ეხება. მთავარი, რაც მინდა ვთქვა, ამ ანგარიშში ძალიან ბევრი ადგილი აქვს შეფასებისა და შეხედულებების ნაწილს დათმობილი. თუ თქვენ, როგორც სამსახურის ხელმძღვანელი, ასეთი ტიპის შეფასებას აკეთებთ, ეს თქვენი ერთიანი სამსახურის პოზიციაა თუ ცალკეულად თქვენი, ესეც საინტერესოა. მე ვფიქრობ, უფრო გასაჩივრების ნაწილზე უნდა ვისაუბროთ, რამდენი ფაქტია და ეს სტატისტიკა მოგვეყვანა. ის კონცეფცია, რომელიც გვაქვს ჩვენ მიღებული, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს გენერალურ გეგმამდე, ეს იქნება ქალაქისათვის ერთმნიშვნელოვანი, საჭირო დოკუმენტი. ბევრი დისკუსია იყო ამ კონცეფციის ირგვლივ. მათ შორის, პროფესიულ წრეებში. ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, გქონდეთ აქტიური მუშაობა და კომუნიკაცია დარგის სპეციალისტებთან, დეველოპერებთან. შეხვედრები, რომელიც ორიენტირებულია იმ ნორმებზე, რომელიც თუნდაც კანონის სწორად წაკითხვას გულისხმობს. რიგ შემთხვევაში თქვენ უპირატესობით სარგებლობთ და ამ

ნორმებს კარგად კითხულობთ. აღმოჩნდება, რომ კონკრეტული მიმართულების არქიტექტორი 2016 წლის კანონმდებლობით ხელმძღვანელობს და არა მოქმედი კანონმდებლობით. ამ ნაწილში თქვენს სამსახურს მეტი კომუნიკაცია ესაჭიროება დარგის სპეციალისტებთან, ასევე დეველოპერებთან. ანგარიშში მე ველოდი, თუ რამდენი საჯარო შეხვედრა მოაწყო სამსახურმა დეველოპერებთან და დარგის სპეციალისტებთან. კარგი იქნებოდა თუ ეს ინფორმაცია ასახული იქნებოდა ამ ანგარიშში. კარგი იქნებოდა მოგვესმინა ადმინისტრაციული წესით რამდენი აქტია გასაჩივრებული, კარგი იქნებოდა სტატისტიკა, რომელიც სასამართლო გასაჩივრების წესს ეხებოდა და რამდენი თქვენს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტია სასამართლოში გასაჩივრებული. წინა ანგარიშში თქვენ გქონდათ წარმოდგენილი ასეთი რამ და ეს აბსოლუტურად კარგად მივიღეთ, როდესაც ცალკე დელეგირებული უფლებამოსილებით, იურისტი შევიყვანეთ სამსახურში და ეს იურისტი ხელმძღვანელობს იმ სამართლებრივი ნორმებით, რომელიც ამ სფეროში არსებობს. სასამართლო გასაჩივრების პირობებში თქვენს ინტერესებს ვინ იცავს? კონკრეტულად, სამსახურის იურისტი თუ მერიის იურიდიული განყოფილება? ამ საკითხზეც, რომ იყოს ინფორმაცია, კარგი იქნებოდა. ზოგადად, თქვენი სამსახურის მუშაობა საკმაოდ ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რამდენი ობიექტია ქალაქში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული?„

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „323“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)**:** „ალბათ, ყველამ იცით, რომ უმძიმესი წერტილია მერიისათვის ეს სამსახური. როდესაც კონკრეტული სამშენებლო ნებართვა მივიღე, ყველა მილოცავდა, გილოცავ, ამ დადგენილების მიღებამდე, რომ მოასწარით ნებართვის მიღებაო. ამას ის ადამიანები ამბობენ, ვინც იცის რა სირთულეები მოყვება იმ 41-ე დადგენილებას. მე თანაგიგრძნობთ,

რომ ყველაზე მძიმე პოზიციაზე გიწევთ მუშაობა ქალბატონს, 4 შვილის დედას, რომელსაც წარმოდგენილი მაქვს, რამდენი ბრძოლა გექნებათ დამკვეთთან, არქიტექტორთან, მოქალაქესთან. მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ ორი სამსახურის ანგარიში მოვისმინეთ. შეიძლება რაღაც უფრო მეტი უნდა გაგეკეთებინათ, მაგრამ ორივე ქალბატონი ხართ განათლებული, ინტელექტუალები თქვენი დარგისა. მე ვიცი, თქვენ ხართ ძლიერი იურისტი. მე მაქვს შეკითხვა. ამ თემაზე მე და ქალბატონი მანანა ჩიხლაძე ვსაუბრობდით, რამდენად შედის ქალაქის მერიის ფუნქციაში, როდესაც მენაშენე, დეველოპერი აშენებს, ამ შენობის გარე ფასადი რამდენად შეესაბამება ადგილმდებარეობას, ქალაქის იერსახეს და მეორე, რამდენად არის შეფარდებული ფერები ადგილმდებარეობასთან. მაგალითად, შენდება რამდენიმე შენობა, ზოგი ყვითელია, ზოგი რუხი. მე გემოვნებაზე არ ვდავობ. ამ თემაზე მუშაობს თუ არა ვინმე და გეხებათ თუ არა ეს საკითხი თქვენ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „ვფიქრობ, თქვენს მიერ და ბატონი ირაკლის მიერ დასმულ შეკითხვებს პირდაპირ ეხებოდა ანგარიში. არქიტექტურულ მიმართულებას ნაკლები ყურადღება ექცევა მშენებლობის შეთანხმების პროცესში. ჩვენი დარგის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის შენობა, რომელიც აიგება, ცვლის რეალობას და მუდმივად რჩება ჩვენს ყოველდღიურობაში. ეს მხოლოდ ქუთაისის რეალობა არ არის. პირველ ეტაპზე რთული იყო არქიტექტორებთან საუბარი ფასადების მოწონება - არ მოწონების შესახებ. ყველა არქიტექტორი თავის თავს თვლის კვალიფიციურად, ქალაქის მოყვარულად. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ქალაქს ჰქონდეს გენერალური გეგმა, რომელიც მოგვცემს საშუალებას ქალაქის ქუჩების დახარისხება - დაყოფისას. გეგმა გვაძლევს გზას, ჩვენ როგორც სამსახურს, მოქმედ არქიტექტორებთან სასაუბროდ. ნებართვის გაცემის პროცესში, ჩვენ ვართ ერთი მხარე და ისინი არიან მეორე მხარე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე თქვენ ნებართვის გაცემაზე და მასთან დაკავშირებულ შეხვედრებზე არ

გეუბნებით. მე საინფორმაციო შეხვედრებს ვგულისხმობ. რა მოთხოვნა აქვს ბაზარს. ბოლოს დამისახელეთ, აი, წარმოდგენილ საანგარიშო პერიოდში, როდის შეხვდით არქიტექტორებს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „შევხვდით მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ინიციატივა დაანონსდა. ჩვენს სამსახურში ბრძანდებოდნენ არქიტექტორები და განვიხილეთ ეს ცვლილებები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „საჯარო იყო ეს შეხვედრა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „შეხვედრა შედგა ჩემს სამუშაო ოთახში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩემი თხოვნა იქნება, რომ ამ შეხვედრის ოქმი მომაწოდოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „ამ ფორმით შეხვედრებს არ ვაწარმოებთ. მხოლოდ სამუშაო რეჟიმში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე არ შევდივარ შინაარსში და ძალიან გთხოვთ ნუ გამომყვებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „როდესაც დადგინდება ქალაქში კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა, ამ ზონის შიგნით, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონი განსაზღვრავს ქცევის კულტურას, ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამ დოკუმენტის მიღება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბექა მახარაძე**: „მოგესალმებით ყველას. მე ასეთი შეკითხვა გამიჩნდა ქალბატონო რუსუდან, განაშენიანების გეგმასთან დაკავშირებით მინდა რომ გკითხოთ, როდის არის შესაძლებელი, თქვენი აზრით?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „ძალიან ინკლუზიური პროცესი გამოგვდის. ანგარიშში აღვნიშნე, რომ ნოემბრის ბოლოს ეს დოკუმენტი უნდა იყოს. შედგა 24 შეხვედრა დარგის სპეციალისტებთან. სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა მეთოდოლოგიით შევხვდით პოტენციურ ბაზარზე ამ სფეროში მოღვაწე ყველა კომპანიას. დაახლოებით 8 კომპანიაა. პოტენციურად, ვინც უნდა იყოს სამიზნე ჯგუფი აი, ამ შესყიდვისა. საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი მუშავდება, რომელიც თქვენთვის ცნობილი იქნება. ნოემბრის ბოლოს ეს დოკუმენტი ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ კონკურსის გამოცხადება იყოს შესაძლებელი. კონკურსის გამოცხადების შემდეგ დაახლოებით ერთი თვეა საჭირო კონტრაქტის დასადებად. ახლა დავა მიდის შესრულების ვადებზე, რამდენი წელი უნდა იყოს, ერთი თუ ორი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მე პიროვნულად არავის წინააღმდეგი არ ვარ. მე ვიცი, რომ დადებითად გადაწყდება ყველაფერი. მაგრამ მე კენჭისყრის დროს თავს შევიკავებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საკითხების დეტალიზაციაში და არც სამართლებრივი აქტების დონეზე განხილვაში არ შევდივარ. მე ვაფიქსირებ პატივისცემას იმ პოლიტიკის მიმართ, რომელიც რეალურად ქალაქგეგმარების ნაწილშია. აქ არის კონცეფციის ჩამოყალიბება და მის ირგვლივ თითოეული ჩვენთაგანის გაერთიანება, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს გენერალურ გეგმამდე. ეს არის რეალური შესაძლებლობა. რაც შეეხება ორგანულ კანონს, რომელიც რიგ შემთხვევაში შეიძლება მოდიოდეს

კოლიზიასთან. ეს არის შეფასებები, რომელიც შეიძლება ვაკეთოთ ჩვენ. ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ, მათ შორის სამსახურის პასუხისმგებლობის საკითხზეც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“): „მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღეს პირველად აღმოვაჩინეთ ეს სამსახური. როგორც იტყვიან, ერთხელ „ჩავარიხინეთ“ ეს ანგარიში და რამდენი პრობლემები დაგროვდა თურმე. უფრო ხშირად დავიბაროთ სამსახური კომისიებზე, შევხვდეთ, მოვუსმინოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ ის პოლიტიკა, რომელიც არჩეული გვაქვს ქალაქის განაშენიანების გეგმის ნაწილში, აბსოლუტურად სრულად ვუჭერ მხარს. ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, რომ მეტი შესაძლებლობა მიეცეთ ბიზნესმენებს, დეველოპერებს, მოქალაქეებს, არქიტექტორებს და ხშირად ველაპარაკოთ მათ შორის, საჯარო შეხვედრების ფორმატში. მაგალითად აღმოჩნდა, რომ არქიტექტორი სარგებლობდა იმ ნორმით, რომელიც 2016 წელს გაუქმებული იყო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ძალიან კარგია, რომ სამსახურს სტაჟირებაზე აგყავთ სტუდენტები. მოიწვევთ ალბათ იმ ახალგაზრდებს, ვინც ამ სპეციალობას ეუფლებიან. თუ გაქვთ ურთიერთობა ამ სპეციალობის სტუდენტებთან და ამ სპეციალობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **რუსუდან ჩინჩალაძე:** „ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტებთან, თავად უნივერსიტეტებიც არიან მსურველები. ბაკალავრის დონეზე ქუთაისში არ ისწავლება ეს სპეციალობა. ეს არის მაგისტრატურის მიმართულება. ბოლო 30 წლის მანძილზე ეს მიმართულება არ იყო პოპულარული და ახალგაზრდები არ ირჩევდნენ. ამ მიმართულებით, კარგი ტენდენცია შეინიშნება ბოლო წლებში, თორემ რეალურად ქვეყანაში სულ თითზე ჩამოსათვლელი ურბანისტები არსებობენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია

ღია კენჭისყრით (მომხრე: 17 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 4-მა წევრმა: ბ.ქებულაძემ, ა.კოპალეიშვილმა, გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება №217** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე განცხადება გააკეთა მოქალაქე, **დავით აბულაძე:** „მოგესალმებით. მე მაინტერესებს თუ გვეხება ტრანსპორტის შეღავათები ქუთაისელ ასაკობრივ პენსიონერებს. არც თბილისში, არც ბათუმში არ ხდება, რომ ეს

შეღავათი არ ჰქონდეთ. კარგია, რომ სკოლის მოსწავლეები უფასოდ მგზავრობენ, მაგრამ მაგრამ იქნებ, ასაკის პენსიონერებსაც შეეხესოს ეს შეღავათები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს 24-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2024.06.18 11:46:54 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.